



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 401 2020 წლის 2 ივლისი ქ. თბილისი

„პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის
2020 წლის 15 ივნისის N 368 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პირბადის ტარების
წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15
ივნისის N 368 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/06/2020,
470230000.10.003.022082) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით
დამტკიცებული პირბადის ტარების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს
დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
გადაწყვეტილებით, აბიტურიენტს – ერთიანი ეროვნული გამოცდების,
მაგისტრანტობის კანდიდატს – საერთო სამაგისტრო გამოცდების,

სტუდენტს – სტუდენტთა საგრანტო კონკურსის, აპლიკანტს – საგნის გამოცდის, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადგენის მიზნით ჩასატარებელი ტესტირების მიმდინარეობის დროს საგამოცდო სექტორში საგამოცდო ტესტზე მუშაობის პროცესში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგამოცდო სივრცის გაგრილება ხდება კონდიციონერის გამოყენებით).“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია